საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 111
14/04/2016

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2016 წლის 15 მარტიდან 15 აპრილის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა 2 სხდომა, აღნიშნული კომისიების სხდომის დროს განხილული იქნა ორი საკითხი.

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.“
2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიქტების ნუსხის დმტკიცების შესახებ.“

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ 2015 წლში გაწეული მუშაობის შესახებ სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თ. კუპრაძის ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვა და დამტკიცება ნუსხიდან სოფ. გურიანთასა და ძიმითში არსებული ობიექტების ამოღების შესახებ.

ამასთან სოფ. გურიანთაში არსებული ობიექტების ნუსხაში შეტანაზე მიზანშეწონილია ამ საკითხზე კომისიამ იმსჯელოს სოფლის კრების გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ.

დავით ჭაკნელიძე

კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია